

დასახელება: შპს გებრიუდერ ვაის ს/ნ 404 931 972

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი ევროპის ქ. N4

მმართველობითი ანგარიშგება

---

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გებრიუდერ ვაისი დაარსდა 2012 წლის 22 თებერვლას ქ.თბილისში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის GW International Holding GMBH.

შპს გებრიუდერ ვაისი არის ავსტრიული წარმოშობის კომპანია, რომელიც ჯგუფში შემავალ კომპანიებთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ მომსახურებას. თავად ბრენდს ნახევარ ათასწლეულზე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო (საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით, ასევე ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება ქვეყნის მასშტაბით) და ლოჯისტიკური მომსახურება (ტვირთების დამუშავება, შენახვა, დაცლა/დატვირთვა).

შპს გებრიუდერ ვაისის გლობალური ქსელი მოიცავს 150 ფილიალს, ოპერაციულ შენობასა და ოფისს ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სომხეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, ჩეხეთში, საქართველოში, უნგრეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, რუმინეთში, სერბეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, სინგაპურში, თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში, ჰონკონგში, ტაივანში, აშშ, არაბების გაერთიანებულ საემიროებსა და ვიეტნამში.

შპს გებრიუდერ ვაისი ქ.თბილისში ევროპის ქუჩა N4 ფლობს და ოპერირებას უწევს საბაჟო საწყობს, სადაც ხდება ევროპიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული ნაკრები ტვირთების კონსოლიდირება და მათი სხვადასხვა რეჟიმში დასაწყობება ან ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე. იმპორტირებული ტვირთების გარდა, შპს გებრიუდერ ვაისი ასევე ემსახურება ყველა სახის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ ტვირთებს.

პერსპექტიული მიდგომითა და ინოვაციური იდეებით, კომპანია მომხმარებელთან ერთად მიისწრაფის მომავლისაკენ. როგორც ლოგისტიკის სპეციალისტები, GW ოპტიმიზაციას ახდენს და მართავს მიწოდების ჯაჭვს მსოფლიოს მასშტაბით. შპს გებრიუდერ ვაისი (GW) საერთაშორისო ქსელის მეშვეობით გთავაზობთ გლობალურ გადაწყვეტილებებს. კომპანიის უმთავრესი მიზანია, მომხმარებლებს შესთავაზოს საუკეთესო სერვისი.



დასახელება: შპს გებრიუდერ ვაის ს/ნ 404 931 972

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი ევროპის ქ. N4

მმართველობითი ანგარიშგება

---

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გებრიუდერ ვაისი დაარსდა 2012 წლის 22 თებერვლას ქ.თბილისში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის GW International Holding GmbH.

შპს გებრიუდერ ვაისი არის ავსტრიული წარმოშობის კომპანია, რომელიც ჯგუფში შემავალ კომპანიებთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ მომსახურებას. თავად ბრენდს ნახევარ ათასწლეულზე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო (საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით, ასევე ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება ქვეყნის მასშტაბით) და ლოჯისტიკური მომსახურება (ტვირთების დამუშავება, შენახვა, დაცლა/დატვირთვა).

შპს გებრიუდერ ვაისის გლობალური ქსელი მოიცავს 150 ფილიალს, ოპერაციულ შენობასა და ოფისს ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სომხეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, ჩეხეთში, საქართველოში, უნგრეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, რუმინეთში, სერბეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, სინგაპურში, თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში, ჰონკონგში, ტაივანში, აშშ, არაბების გაერთიანებულ საემიროებსა და ვიეტნამში.

შპს გებრიუდერ ვაისი ქ.თბილისში ევროპის ქუჩა N4 ფლობს და ოპერირებას უწევს საბაჟო საწყობს, სადაც ხდება ევროპიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული ნაკრები ტვირთების კონსოლიდირება და მათი სხვადასხვა რეჟიმში დასაწყობება ან ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე. იმპორტირებული ტვირთების გარდა, შპს გებრიუდერ ვაისი ასევე ემსახურება ყველა სახის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ ტვირთებს.

პერსპექტიული მიდგომითა და ინოვაციური იდეებით, კომპანია მომხმარებელთან ერთად მიისწრაფის მომავლისაკენ. როგორც ლოჯისტიკის სპეციალისტები, GW ოპტიმიზაციას ახდენს და მართავს მიწოდების ჯაჭვს მსოფლიოს მასშტაბით. შპს გებრიუდერ ვაისი (GW) საერთაშორისო ქსელის მეშვეობით გთავაზობთ გლობალურ გადაწყვეტილებებს. კომპანიის უმთავრესი მიზანია, მომხმარებლებს შესთავაზოს საუკეთესო სერვისი.

## შპს გეზრიუდერ ვაის

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან  
ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლისათვის

## სარჩევი:

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა ..... | 3 |
|--------------------------------------|---|

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                               |   |
|---------------------------------------------------------------|---|
| მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 6 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                      | 7 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....              | 8 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                  | 9 |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                               | 10 |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                   | 10 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....        | 17 |
| 4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან .....                              | 18 |
| 5. შესყიდული მომსახურების თვითღირებულება.....                           | 18 |
| 6. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები..... | 18 |
| 7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები .....             | 18 |
| 8. სხვა საოპერაციო ხარჯები .....                                        | 18 |
| 9. საპროცენტო ხარჯი, ნეტო.....                                          | 19 |
| 10. ძირითადი საშუალებები .....                                          | 20 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                     | 21 |
| 12. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                   | 21 |
| 13. მიღებული სესხები .....                                              | 22 |
| 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                  | 22 |
| 15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....                     | 23 |
| 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                            | 26 |

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს გებრიუდერ ვაისის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს გებრიუდერ ვაისის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც 10-ე შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიამ არ მოახდინა სატვირთო მანქანების შეფასება რეალური ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით დაერწმუნებულიყავით, რომ სატვირთო მანქანების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან, როგორც მოითხოვება ბასს 16-ის მიხედვით. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ძირითად საშუალებებთან და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგებისა ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

#### აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში

ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ივანე ჟუჟუნაშვილი. (SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი 2018

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს გებრიუდერ ვაისის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს გებრიუდერ ვაისის** (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც 10-ე შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიამ არ მოახდინა სატვირთო მანქანების შეფასება რეალური ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ სატვირთო მანქანების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან, როგორც მოითხოვება ბასს 16-ის მიხედვით. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ძირითად საშუალებებთან და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგებისა ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

### **აუდიტორთა პასუხისმგებლობები**

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვსის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718).

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი 2018

შპს გეგრიუდერ ვაის

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                                 | შენიშვნა | 2017                | 2016                |
|-----------------------------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>                                    |          |                     |                     |
| შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან                               | 4        | 21,465,058          | 14,643,781          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                                     |          | 77,498              | 30,139              |
|                                                                 |          | <b>21,542,556</b>   | <b>14,673,920</b>   |
| <b>საოპერაციო ხარჯი</b>                                         |          |                     |                     |
| შესყიდული მომსახურების თვითღირებულება                           | 5        | (13,030,025)        | (8,386,527)         |
| თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები | 6        | (2,156,137)         | (1,745,836)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                            |          | (1,235,418)         | (1,247,136)         |
| საწვავის ხარჯები                                                |          | (779,718)           | (424,869)           |
| მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები              | 7        | (1,091,914)         | (586,378)           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                         | 8        | (1,418,648)         | (1,161,210)         |
| საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი                              | 11       | (5,998)             | (42,259)            |
|                                                                 |          | <b>(19,717,858)</b> | <b>(13,594,215)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                        |          | <b>1,824,698</b>    | <b>1,079,705</b>    |
| საპროცენტო ხარჯები, ნეტო                                        | 9        | (216,918)           | (445,014)           |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო                        |          | (954,983)           | (557,121)           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                 |          | <b>652,797</b>      | <b>77,570</b>       |


ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 30 მარტს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



ა. ხარლამოვი

მთავარი ბუღალტერი



ე. ხუბულური

**შპს გეზირიუდერ ვაის**

**მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                                 | შენიშვნა | 2017                | 2016                |
|-----------------------------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>                                    |          |                     |                     |
| შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან                               | 4        | 21,465,058          | 14,643,781          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                                     |          | 77,498              | 30,139              |
|                                                                 |          | <b>21,542,556</b>   | <b>14,673,920</b>   |
| <b>საოპერაციო ხარჯი</b>                                         |          |                     |                     |
| შესყიდული მომსახურების თვითღირებულება                           | 5        | (13,030,025)        | (8,386,527)         |
| თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები | 6        | (2,156,137)         | (1,745,836)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                            |          | (1,235,418)         | (1,247,136)         |
| საწვავის ხარჯები                                                |          | (779,718)           | (424,869)           |
| მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები              | 7        | (1,091,914)         | (586,378)           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                         | 8        | (1,418,648)         | (1,161,210)         |
| საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი                              | 11       | (5,998)             | (42,259)            |
|                                                                 |          | <b>(19,717,858)</b> | <b>(13,594,215)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                        |          | <b>1,824,698</b>    | <b>1,079,705</b>    |
| საპროცენტო ხარჯები, ნეტო                                        | 9        | (216,918)           | (445,014)           |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო                        |          | (954,983)           | (557,121)           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                 |          | <b>652,797</b>      | <b>77,570</b>       |

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 30 მარტს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი

\_\_\_\_\_

ა. ხარლამოვი

მთავარი ბუღალტერი

\_\_\_\_\_

ე. ხუბულური

შპს გეზურიუდერ ვაის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                      | შენიშვნა | 2017              | 2016              |
|--------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                 | 10       | 19,343,689        | 20,127,910        |
| არამატერიალური აქტივები              |          | 2,884             | 5,204             |
|                                      |          | <b>19,346,573</b> | <b>20,133,114</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>         |          |                   |                   |
| მარაგები                             |          | 18,492            | 18,692            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 11       | 2,033,540         | 1,457,928         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 12       | 3,124,762         | 2,740,041         |
|                                      |          | <b>5,176,794</b>  | <b>4,216,661</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>24,523,367</b> | <b>24,349,775</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                   |          | 19,340,000        | 19,340,000        |
| დაუფარავი ზარალი                     |          | (6,352,750)       | (7,005,547)       |
|                                      |          | <b>12,987,250</b> | <b>12,334,453</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                     | 13       | 8,052,037         | 8,620,654         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>    |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                     | 13       | 2,172,459         | 2,049,344         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 14       | 1,245,456         | 1,285,519         |
| გამოუყენებელი შვებულების რეზერვი     |          | 28,314            | 21,825            |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | 37,851            | 37,980            |
|                                      |          | <b>3,484,080</b>  | <b>3,394,668</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>24,523,367</b> | <b>24,349,775</b> |

შპს გებრიუდერ ვაის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                         | საწესდებო<br>კაპიტალი | დაუფარავი<br>ზარალი | სულ<br>კაპიტალი |
|---------------------------------------------------------|-----------------------|---------------------|-----------------|
| ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის                        | 10,700,000            | (7,083,117)         | 3,616,883       |
| შენატანები მფლობელების მიერ<br>საწესდებო კაპიტალის ზრდა | 8,640,000             | -                   | 8,640,000       |
| მთლიანი სრული შემოსავალი                                | -                     | 77,570              | 77,570          |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის                        | 19,340,000            | (7,005,547)         | 12,334,453      |
| მთლიანი სრული შემოსავალი                                | -                     | 652,797             | 652,797         |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის                        | 19,340,000            | (6,352,750)         | 12,987,250      |

**შპს გებრიუდერ ვაის**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის  
(ლარში)

|                                                                                                            | შენიშვნა | 2017               | 2016             |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|------------------|
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                                           |          |                    |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                                         |          | 652,797            | 77,570           |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                                      |          |                    |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                       |          | 1,235,418          | 1,247,136        |
| ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული ზარალი                                                                |          | -                  | 660              |
| საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი                                                                         | 11       | 5,998              | 42,259           |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                      | 9        | (29,617)           | (10,578)         |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                           | 9        | 246,535            | 455,592          |
| ცვლილება გამოუყენებელი შვებულების რეზერვში                                                                 |          | 6,489              | 1,238            |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო                                                                   |          | 954,983            | 557,121          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე</b> |          | <b>3,072,603</b>   | <b>2,370,998</b> |
| <b>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:</b>                                                                       |          |                    |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)                                                               |          | (541,290)          | 69,983           |
| მარაგების ზრდა                                                                                             |          | -                  | (7,338)          |
| წინასწარ გადახდილ გადასახადების შემცირება                                                                  |          | -                  | 89,678           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა                                                                        |          | 119,232            | 948,693          |
| საგადასახადო ვალდებულებების შემცირება                                                                      |          | (90)               | (97,433)         |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                                                   |          | <b>2,650,455</b>   | <b>3,374,581</b> |
| გადახდილი პროცენტი                                                                                         |          | (338,113)          | (378,019)        |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები</b>                                            |          | <b>2,312,342</b>   | <b>2,996,562</b> |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>                                                         |          |                    |                  |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                                                             |          | (448,879)          | (354,073)        |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                                                              |          | -                  | 40,292           |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა                                                                          |          | -                  | (1,101)          |
| მიღებული პროცენტები                                                                                        |          | 29,617             | 10,578           |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები</b>                                            |          | <b>(419,262)</b>   | <b>(304,304)</b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                                             |          |                    |                  |
| გადახდილი სესხები                                                                                          |          | (1,370,192)        | (9,439,680)      |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                                                                                   |          | -                  | 8,640,000        |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები</b>                                               |          | <b>(1,370,192)</b> | <b>(799,680)</b> |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა</b>                                                                        |          | <b>522,888</b>     | <b>1,892,578</b> |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის</b>                                                                 | 12       | <b>2,740,041</b>   | <b>850,907</b>   |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი                                                          |          | (138,167)          | (3,444)          |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის</b>                                                                      | 12       | <b>3,124,762</b>   | <b>2,740,041</b> |

## **1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს გებრიუდერ ვაის დაარსდა 2012 წლის 22 თებერვალს თბილისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

GW International Holding GMBH არის კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებას და საქონლის დასაწყობების სერვისს, რომელშიც შედის მასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორცაა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები და ლოჯისტიკა

კომპანიის იურიდიული მისამართია: ევროპის ქუჩა #4, თბილისი, საქართველო. კომპანიის გენერალური მენეჯერია ალექსანდრე ხარლამოვი.

## **2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

### **მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა (სატვირთო ავტომობილები), რომელთა აღრიცხვისთვის გამოყენებული იქნა გადაფასების მოდელი.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### **საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

### **ახალი ფასს-ების მიღება**

**ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:**

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

**ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” და სარგებელი კლიენტს გადაეცემა. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

### ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც.

### ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 -ლიზინგი, IFRIC 4 - განესაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია არის ახალი სტანდარტების, ფასს 15-ის, ფასს 16-ისა და ფასს 9-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ სრულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                  | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|------------|--------|
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.5922     | 3.1044 |
| კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6468     | 2.7940 |

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

#### სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულის და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს შეუზღუდავ ფულს ბანკის ანგარიშზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. რეზერვის ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში (ან ბიზნესის ნორმალურ საოპერაციო ციკლში თუ გრძელდება), ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი აქტივებში.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

### რეალური ღირებულებით შეფასება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება.

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

## 2. ძირითადი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებზე დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

### ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა სატვირთო მანქანებისა, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

გადაფასების ნამეტი წარდება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

| ჯგუფი                  | სასარგებლო მომსახურების<br>ვადები (წლები) |
|------------------------|-------------------------------------------|
| შენობები და ნაგებობები | 12-33                                     |
| საწყობის აღჭურვილობა   | 5-12                                      |
| სატვირთო მანქანები     | 5-10                                      |
| ავტომობილები           | 5-6                                       |
| სხვა                   | 4-10                                      |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

### მარაგები

მარაგები წარდგენილია, თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შემენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

### დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

### შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინა რის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## **2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

### **ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში. როდესაც მოხდა შეფასებების ცვლილება.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

## შპს გეგრიუდერ ვაის

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

|                                       | 2017              | 2016              |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება | 13,698,735        | 9,285,253         |
| ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება  | 4,090,083         | 2,305,305         |
| ლოჯისტიკური მომსახურება               | 3,676,240         | 3,053,223         |
|                                       | <b>21,465,058</b> | <b>14,643,781</b> |

#### 5. შესყიდული მომსახურების თვითღირებულება

|                                       | 2017                | 2016               |
|---------------------------------------|---------------------|--------------------|
| საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება | (11,538,508)        | (7,352,414)        |
| ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება  | (1,491,517)         | (1,034,113)        |
|                                       | <b>(13,030,025)</b> | <b>(8,386,527)</b> |

#### 6. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები

|                                      | 2017               | 2016               |
|--------------------------------------|--------------------|--------------------|
| ხელფასები                            | (1,556,034)        | (1,344,945)        |
| დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები | (295,535)          | (147,485)          |
| ბონუსები                             | (199,276)          | (142,880)          |
| თანამშრომელთა დაზღვევა               | (21,502)           | (14,766)           |
| სხვა სარგებელი                       | (83,790)           | (95,760)           |
|                                      | <b>(2,156,137)</b> | <b>(1,745,836)</b> |

უმაღლესი მენეჯმენტის კომპენსაციები გაშიფრულია 16-ე შენიშვნაში.

#### 7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს მომსახურებებს, რომლებიც მიღებულია დედა კომპანიისგან GW International Holding GmbH-სგან და რომელიც მოიცავს შემდეგ მომსახურებებს: ბუღალტრული სისტემის ორგანიზება, ბუღალტრული ჩანაწერების განხორციელება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

#### 8. სხვა საოპერაციო ხარჯები

|                                         | 2017               | 2016               |
|-----------------------------------------|--------------------|--------------------|
| რემონტის ხარჯი                          | (292,600)          | (200,949)          |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | (205,319)          | (203,495)          |
| მცირეფასიანი ინვენტარი                  | (162,992)          | (106,130)          |
| იჯარა                                   | (123,745)          | (50,633)           |
| მივლინება                               | (121,499)          | (101,606)          |
| საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები     | (120,133)          | (117,441)          |
| დაცვის ხარჯი                            | (95,578)           | (71,186)           |
| დაზღვევა                                | (83,186)           | (84,163)           |
| პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება | (82,718)           | (124,624)          |
| სხვა                                    | (130,878)          | (100,983)          |
|                                         | <b>(1,418,648)</b> | <b>(1,161,210)</b> |

შპს გეზრიუდერ ვაის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

**9. საპროცენტო ხარჯი, ნეტო**

|                                               | <u>2017</u>      | <u>2016</u>      |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>საპროცენტო შემოსავალი</b>                  |                  |                  |
| საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან             | 29,617           | 10,578           |
| <b>საპროცენტო ხარჯი</b>                       |                  |                  |
| GW International Holding GMBH                 | (219,695)        | (420,257)        |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | (26,840)         | (35,335)         |
|                                               | <u>(246,535)</u> | <u>(455,592)</u> |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი, ნეტო</b>             | <u>(216,918)</u> | <u>(445,014)</u> |

შპს გებრიუდერ ვაის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება        | მიწა      | შენობა-<br>ნაგებობები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა* | სატვირთო<br>მანქანები | საწყობის<br>აღჭურვილობა | ავტომობილებ<br>ი | სხვა      | სულ         |
|-----------------------------|-----------|-----------------------|------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|-----------|-------------|
| 2015 წლის 31 დეკემბერი      | 2,559,306 | 16,638,479            | -                            | 819,046               | 2,897,561               | 75,978           | 361,399   | 23,351,769  |
| შემოსვლა                    | -         | 34,146                | -                            | 15,492                | 105,567                 | 144,212          | 54,656    | 354,073     |
| გასვლა                      | -         | (21,850)              | -                            | -                     | -                       | (53,126)         | -         | (74,976)    |
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | 2,559,306 | 16,650,775            | -                            | 834,538               | 3,003,128               | 167,064          | 416,055   | 23,630,866  |
| შემოსვლა                    | -         | -                     | 100,080                      | -                     | 173,679                 | 78,555           | 96,565    | 448,879     |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 2,559,306 | 16,650,775            | 100,080                      | 834,538               | 3,176,807               | 245,619          | 512,620   | 24,079,745  |
| დაგროვილი ცვეთა             |           |                       |                              |                       |                         |                  |           |             |
| 2015 წლის 31 დეკემბერი      | -         | (1,347,613)           | -                            | (80,772)              | (614,887)               | (41,726)         | (205,539) | (2,290,537) |
| ცვეთა                       | -         | (566,566)             | -                            | (255,710)             | (300,550)               | (23,585)         | (100,032) | (1,246,443) |
| გასვლა                      | -         | 1,558                 | -                            | -                     | -                       | 32,466           | -         | 34,024      |
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | -         | (1,912,621)           | -                            | (336,482)             | (915,437)               | (32,845)         | (305,571) | (3,502,956) |
| ცვეთა                       | -         | (566,392)             | -                            | (213,014)             | (316,307)               | (38,425)         | (98,962)  | (1,233,100) |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | -         | (2,479,013)           | -                            | (549,496)             | (1,231,744)             | (71,270)         | (404,533) | (4,736,056) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |           |                       |                              |                       |                         |                  |           |             |
| 2016 წლის 31 დეკემბერი      | 2,559,306 | 14,738,154            | -                            | 498,056               | 2,087,691               | 134,219          | 110,484   | 20,127,910  |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 2,559,306 | 14,171,762            | 100,080                      | 285,042               | 1,945,063               | 174,349          | 108,087   | 19,343,689  |

სატვირთო მანქანების შეფასება ბოლოს მოხდა 2014 წლის 31 დეკემბერს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, საბაზრო მიდგომის გამოყენებით. კომპანიას, რომ არ ქონოდა გამოყენებული რეალური ღირებულების შეფასების მეთოდი, სატვირთო მანქანების ღირებულება იქნებოდა ისტორიული ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები, რომლებიც შეადგენენ 469,121 და 726,283 ლარს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწები და შენობები ღირებულებით 2,559 ათასი და 11,835 ათასი ლარი, შესაბამისად ჩადებული იყო მიღებული სესხები უზრუნველყოფაში (შენიშვნა 13).

\* 2018 წლის მაისში კომპანია გეგმავს დაიწყოს საწყობის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლებიც უნდა დამთავრდეს 2018 წლის დეკემბერში. კომპანია ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესშია.

## შპს გეგრიუდერ ვაის

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                               | 2017             | 2016             |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                     |                  |                  |
| სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან    | 2,412            | 11,277           |
| სხვა სავაჭრო მოთხოვნები                       | 2,069,758        | 1,438,313        |
| სხვა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი | (38,630)         | (41,853)         |
|                                               | <b>2,033,540</b> | <b>1,407,737</b> |

#### არაფინანსური აქტივები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

#### სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                  |                  |
|------------------|------------------|
| -                | 50,191           |
| <b>2,033,540</b> | <b>1,457,928</b> |

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 15-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულია ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე:

|                                             | 2017             | 2016             |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ვადაგადაცილების გარეშე</b>               | <b>1,428,204</b> | <b>1,375,137</b> |
| <b>ვადაგადაცილებული გაუფასურების გარეშე</b> |                  |                  |
| 1-30 ვადაგადაცილება                         | 520,035          | -                |
| 31-60 ვადაგადაცილება                        | 77,187           | -                |
|                                             | <b>597,222</b>   | <b>-</b>         |
| <b>ვადაგადაცილებული და გაუფასურებული</b>    |                  |                  |
| 91-180 ვადაგადაცილება                       | 46,744           | 35,820           |
| 180-365 ვადაგადაცილება                      | -                | 22,823           |
| 365-ზე მეტი ვადაგადაცილება                  | -                | 15,810           |
|                                             | <b>46,744</b>    | <b>74,453</b>    |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>               | <b>2,072,170</b> | <b>1,449,590</b> |
| გაუფასურების რეზერვი                        | <b>(38,630)</b>  | <b>(41,853)</b>  |
|                                             | <b>2,033,540</b> | <b>1,407,737</b> |

ცვლილებები სხვა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში:

|                                         | 2017            | 2016            |
|-----------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ბალანსი 1 იანვრისთვის</b>            | <b>(41,853)</b> | <b>-</b>        |
| ზრდა წლის განმავლობაში                  | (45,626)        | (42,259)        |
| მიღებული თანხები                        | 39,628          | -               |
| <b>სულ ხარჯი</b>                        | <b>(5,998)</b>  | <b>(42,259)</b> |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები | 9,221           | 406             |
| <b>ბალანსი 31 დეკემბრისთვის</b>         | <b>(38,630)</b> | <b>(41,853)</b> |

#### 12. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                                   | 2017             | 2016             |
|---------------------------------------------------|------------------|------------------|
| ფული სალაროში                                     | 1,945            | 2,646            |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (ლარში)         | 1,983,015        | 405,099          |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (სხვა ვალუტაში) | 1,139,802        | 2,332,296        |
|                                                   | <b>3,124,762</b> | <b>2,740,041</b> |

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 15-ე შენიშვნაში.

## შპს გეგრიუდერ ვაის

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

### 13. მიღებული სესხები

|                                                      | 2017              | 2016              |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| GW International Holding GMBH                        | 7,470,506         | 7,375,136         |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 2,753,990         | 3,294,862         |
|                                                      | <b>10,224,496</b> | <b>10,669,998</b> |

ყველა სესხი აღებულია ევროში. სააქციო საზოგადოება GW International Holding GMBH -სგან მიღებული სესხი არის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით. EBRD-საგან აღებული სესხის დარიცხული საპროცენტო განაკვეთი ცვლადი მონაცემია და შემდეგნაირად გამოითვლება: ევროზონის ბანკთაშორის ბაზარზე ნაგულისხმევი პროცენტის დადგენის დღეს შეთავაზებული წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტისთვის სესხის ვალუტაში ან, თუ ბაზრის ჩავარდნის პერიოდი დადგა, მაშინ განაკვეთი, რომელიც EBRD-ს მიერ გონივრულად მიჩნეული წყაროდან მიღებული სესხის შესაბამის ნაწილის დაფინანსებაზე გაწულ ხარჯს გამოხატავს, როგორც პროცენტულ განაკვეთს წელიწადში.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების განაწილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                             | 2017              | 2016              |
|-----------------------------|-------------------|-------------------|
| <b>გრძელვადიანი</b>         |                   |                   |
| ძირი                        | 8,052,037         | 8,620,654         |
| <b>მოკლევადიანი</b>         |                   |                   |
| ძირი                        | 2,147,210         | 1,932,517         |
| პროცენტი                    | 25,249            | 116,827           |
|                             | <b>2,172,459</b>  | <b>2,049,344</b>  |
| <b>სულ მიღებული სესხები</b> | <b>10,224,496</b> | <b>10,669,998</b> |

მიწები და შენობები არის EBRD-გან (როგორც პირველი მფლობელი) და GW International Holding GMBH-სგან (როგორც მეორე მფლობელი) მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული.

კომპანიას აქვს შემდეგი კოვენანტები EBRD-ის სესხთან დაკავშირებით, რომლებიც დაკმაყოფილებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

**ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი.** დაწყებული 2014 წლის 30 ივნისიდან, ყოველთვის, კოეფიციენტის მოცულობა (დათვლილი 12 თვის მაჩვენებლებზე) არ უნდა იყოს 1.2-ზე ნაკლები, გამონაკლისს წარმოადგენს კოეფიციენტის პირველი გამოთვლა 2014 წლის 30 იანვარს დასრულებული პერიოდისთვის, რომლის დროსაც აღნიშნული კოეფიციენტი უნდა დათვლილიყო წინა 6 თვის მაჩვენებლების საფუძველზე.

**ფინანსური ვალის EBITDA-ს თანაფარდობა.** დაწყებული 2015 წლის 1 იანვრიდან, ყოველთვის, ფინანსური ვალის, დათვლილი ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის, თანაფარდობა EBITDA-სთან, დათვლილი 12 თვის მოანგეზმებზე ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის, არ უნდა იყოს 3.0-ზე ნაკლები.

**ფინანსური ვალის კაპიტალთან თანაფარდობა.** 2014 წლის 30 ივნისიდან, ყოველთვის, ფინანსური ვალის, დათვლილი ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის, თანაფარდობა კაპიტალთან (გამოკლებული გუდვილი), არ უნდა იყოს 1.0-ზე მაღალი.

### 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                               | 2017             | 2016             |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან | 351,115          | 688,007          |
| სხვა სავაჭრო ვალდებულებები                    | 755,428          | 575,430          |
| სახელფასო ვალდებულებები                       | 138,913          | 22,082           |
|                                               | <b>1,245,456</b> | <b>1,285,519</b> |

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 15-ე შენიშვნაში.

## 15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული ბანკში
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებლად, კონტრაქტის გაფორმებამდე. ასეთი საკრედიტო რეიტინგები გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიზნესის პრაქტიკის გათვალისწინებით.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, გამოფრულია 11-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|             | 2017             | 2016             |
|-------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები  | 2,033,540        | 1,407,737        |
| ფული ბანკში | 3,122,817        | 2,737,395        |
|             | <b>5,156,357</b> | <b>4,145,132</b> |

## შპს გეგრიუდერ ვაის

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

##### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი             | დოლარი         | ევრო               | ჯამი               |
|--------------------------------|------------------|----------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                |                    |                    |
| მოთხოვნები                     | 754,086          | 365,540        | 913,914            | 2,033,540          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 1,984,960        | 489,457        | 650,345            | 3,124,762          |
|                                | <b>2,739,046</b> | <b>854,997</b> | <b>1,564,259</b>   | <b>5,158,302</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                |                    |                    |
| მიღებული სესხები               | -                | -              | 10,224,496         | 10,224,496         |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 335,461          | 131,513        | 778,482            | 1,245,456          |
|                                | <b>335,461</b>   | <b>131,513</b> | <b>11,002,978</b>  | <b>11,469,952</b>  |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>2,403,585</b> | <b>723,484</b> | <b>(9,438,719)</b> | <b>(6,311,650)</b> |

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი             | დოლარი         | ევრო               | ჯამი               |
|--------------------------------|------------------|----------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                |                    |                    |
| მოთხოვნები                     | 1,125,714        | 101,680        | 180,343            | 1,407,737          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 407,746          | 275,725        | 2,056,570          | 2,740,041          |
|                                | <b>1,533,460</b> | <b>377,405</b> | <b>2,236,913</b>   | <b>4,147,778</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                |                    |                    |
| მიღებული სესხები               | -                | -              | 10,669,998         | 10,669,998         |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 200,370          | 225,390        | 859,759            | 1,285,519          |
|                                | <b>200,370</b>   | <b>225,390</b> | <b>11,529,757</b>  | <b>11,955,517</b>  |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>1,333,090</b> | <b>152,015</b> | <b>(9,292,844)</b> | <b>(7,807,739)</b> |

##### სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

|                                    | 2017        |           | 2016        |           |
|------------------------------------|-------------|-----------|-------------|-----------|
| სავალუტო რისკის მგრძნობელობა       | +20%        | -20%      | +20%        | -20%      |
| აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი) | 144,697     | (144,697) | 30,403      | (30,403)  |
| ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)       | (1,887,744) | 1,887,744 | (1,858,569) | 1,858,569 |

**15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)****საპროცენტო რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი მნიშვნელობით), რომელიც დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან, რადგანაც განაკვეთი არის ცვალებადი.

კომპანიას მიღებული აქვს სესხი დამფუძნებლისგან ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად იგი არ წარმოშობს რისკს.

ამასთან ერთად, კომპანიას აქვს მიმდინარე სესხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით (13-ე შენიშვნა). მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს და 2016 და 2017 წლებში საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გათვალისწინებით (0.938%-დან 1.331%-მდე) არ ელის მომავალში მნიშვნელოვან ზარალს ან მოგებას სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                           | <u>1 წლამდე</u>  | <u>1-დან 5 წლამდე</u> | <u>5 წელზე მეტი</u> | <u>სულ</u>        |
|-------------------------------------------|------------------|-----------------------|---------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                  |                       |                     |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები                        | 2,033,540        | -                     | -                   | 2,033,540         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები               | 3,124,762        | -                     | -                   | 3,124,762         |
|                                           | <b>5,158,302</b> | -                     | -                   | <b>5,158,302</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                  |                       |                     |                   |
| მიღებული სესხები                          | 2,172,459        | 8,052,037             | -                   | 10,224,496        |
| სავაჭრო ვალდებულებები                     | 1,245,456        | -                     | -                   | 1,245,456         |
|                                           | <b>3,417,915</b> | <b>8,052,037</b>      | -                   | <b>11,469,952</b> |
| ლიკვიდურობის სხვაობა                      | 1,740,387        | (8,052,037)           | -                   | -                 |
| <b>აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა</b> | <b>1,740,387</b> | <b>(6,311,650)</b>    | <b>(6,311,650)</b>  |                   |

ლიკვიდურობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                           | <u>1 წლამდე</u>  | <u>1-დან 5 წლამდე</u> | <u>5 წელზე მეტი</u> | <u>სულ</u>        |
|-------------------------------------------|------------------|-----------------------|---------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                  |                       |                     |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები                        | 1,407,737        | -                     | -                   | 1,407,737         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები               | 2,740,041        | -                     | -                   | 2,740,041         |
|                                           | <b>4,147,778</b> | -                     | -                   | <b>4,147,778</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                  |                       |                     |                   |
| მიღებული სესხები                          | 2,049,344        | 6,944,254             | 1,676,400           | 10,669,998        |
| სავაჭრო ვალდებულებები                     | 1,285,519        | -                     | -                   | 1,285,519         |
|                                           | <b>3,334,863</b> | <b>6,944,254</b>      | <b>1,676,400</b>    | <b>11,955,517</b> |
| ლიკვიდურობის სხვაობა                      | 812,915          | (6,944,254)           | (1,676,400)         | -                 |
| <b>აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა</b> | <b>812,915</b>   | <b>(6,131,339)</b>    | <b>(7,807,739)</b>  |                   |

**15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)****კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

**16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                       | 2017        |                             | 2016        |                             |
|-------------------------------------------------------|-------------|-----------------------------|-------------|-----------------------------|
|                                                       | მფლობელი    | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ | მფლობელი    | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ |
| <b>ფინანსური მდგომარეობის<br/>ანგარიშგება</b>         |             |                             |             |                             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                            | -           | 2,412                       | -           | 11,277                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                         | 330,189     | 20,926                      | 683,597     | 4,410                       |
| მიღებული სესხები                                      | 7,470,506   | -                           | 7,375,136   | -                           |
| <b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>                   |             |                             |             |                             |
| შემოსავალი გაწეული<br>მომსახურებიდან                  | 187,277     | 25,564                      | 200,958     | 17,199                      |
| შესყიდული მომსახურებები                               | (1,481,037) | (322,129)                   | (2,216,743) | (405,091)                   |
| ფინანსური ხარჯი                                       | (219,695)   | -                           | (420,257)   | -                           |
| მმართველობით მომსახურებასთან<br>დაკავშირებული ხარჯები | (1,091,914) | -                           | (586,378)   | -                           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                               | (58,652)    | -                           | (5,837)     | (3,705)                     |

უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 2017    | 2016    |
|------------------------------------|---------|---------|
| მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო | 200,366 | 184,449 |